

პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური სტრატეგია  
არალიბერალური დემოკრატიის პირობებში

შალვა ბერიანიძე

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

მოწვეული ლექტორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში



თბილისი, 2022

## პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური სტრატეგია არალიბერალური დემოკრატიის პირობებში

პოლიტიკის მეცნიერების მკვლევარები ხშირად საუბრობენ პოპულიზმზე, როგორც პოლიტიკურ სტრატეგიაზე, რომელიც ხელს უშლის ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრებასა და მის სტაბილურობას. პოპულიზმი ბოლო, რამდენიმე დეკადის განმავლობაში სულ უფრო აქტუალური განსახილველი საკითხი გახდა, რადგანაც განვითარებულ თუ განვითარებად სახელმწიფოებში პოპულისტური მოძრაობებისა და პოლიტიკური პარტიების რიცხვი შესამჩნევად იზრდება. პოპულიზმი პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირდა, შესაბამისად პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ჯგუფები მას იყენებენ, როგორც ფართო მასებისადმი საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალებას. პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური სტრატეგია საზოგადოებაში რთული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაუყოვნებლივ და მარტივად მოგვარების რწმენას აღვივებს. ერთი შეხედვით, ეს „უწყინარი“ პოლიტიკური სტრატეგია ხალხის ინტერესების დაცვას ემსახურება, თუმცა ტერმინს ნეგატიური შინაარსი აქვს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ პოპულისტების სურვილი, დაიცვან საზოგადოების ინტერესები, ხელოვნურია და ისინი ძირითადად ხმამაღალი (ან რადიკალური) განცხადებებით შემოიფარგლებიან. უნდა აღინიშნოს, რომ პოპულისტების სასაუბრო ლექსიკა დიდწილად ერთგვაროვანია და ნებისმიერ პოლიტიკურ სტრატეგიაში გლობალიზაციის სხვადასხვაგვარი სოციალური ცვლილებებისგან ტრადიციული ღირებულებებისა და უბრალო ადამიანების ინტერესების დაცვას გულისხმობს.

პოლიტიკის თეორეტიკოსი მარგარეტ კანოვანი განმარტავს რომ პოპულიზმი არის დემოკრატიული პოლიტიკის ალტერნატიული ფორმა, რომელიც იქამდე დარჩება საზოგადოების გვერდით, ვიდრე დემოკრატია იარსებებს (Eatwell and Goodwin 2018). ამ მხრივ, საინტერესოა ამერიკელი ფილოსოფოსისა და

პოლიტოლოგის იოსიპირო ფრენსის ფუკუიამას 1989 წელს ჟურნალ The National Interest-ში გამოქვეყნებული სტატია „ისტორიის დასასრული?“ (The End of History?), სადაც ავტორი აანალიზებს, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი დაიწყო დასავლეთის თავდაჯერებულობით იმავე „ტრიუმფში“, რომელიც ლიბერალურმა დემოკრატამ წარმოქმნა. შესაბამისად, ეს უკანასკნელი უბრუნდება არა „იდეოლოგიის დასასრულს“ ან „კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შერწყმას“ არამედ, ეკონომიკური და პოლიტიკური ლიბერალიზმის უდავო გამარჯვებას (ფუკუიამა 2020). თუმცა ფაქტია რომ 1991 წელს, საბჭოთა კავშირის ჩამოშლამ პოლიტიკური სტრატეგიების არაერთი მკვეთრი კონტური წაშალა და „ახალი რეალობის“ კონცეფცია წარმოქმნა.

ამავდროულად, 1990-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ ნახევარსფეროში ლიბერალური დემოკრატიის გავრცელების იმედი დიდი იყო. თუმცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტრანსფორმაციამ თვით ლიბერალიზმის „მწარე“ უარყოფა გამოიწვია. შედეგად, გამოვლინდა, რომ ლიბერალურმა დემოკრატამ ძირითადად ადამიანთა იდეებისა და ცნობიერების დონეზე გაიმარჯვა და არალიბერალური დემოკრატიის კვალდაკვალ „პოპულიზმის აღზევების“ შედეგად, რეალურ ან მატერიალურ სამყაროში მისი განმტკიცების პროცესი ჯერ კიდევ დაუსრულებელია. ეს ფენომენი შესაძლოა, დეტერმინისტული მატერიალიზმის სკოლის საფუძვლებით აიხსნას (თუმცა მატერიალურ დეტერმინიზმს ფუკუიამა თავს არიდებს), რომელიც იდეოლოგიისა და კულტურის მნიშვნელობას არ აფასებს და ადამიანს, როგორც აუცილებლად რაციონალურ, მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირებულ ინდივიდად მიიჩნევს. ამ თეორიით, ლიბერალური ეკონომიკა წარმოშობს ლიბერალურ პოლიტიკას (ფუკუიამა 2020) და არაერთი დასავლური თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნის მაგალითზე შესაძლოა, ითქვას რომ მათი ეკონომიკური მოდელები სრულად ვერ გარდაიქმნა ლიბერალური ეკონომიკის მოდელებად. შედეგად, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შეზღუდვის, საემიგრაციო პოლიტიკის კრიზისის, სოციო-კულტურული ჰომოგენურობის დაკარგვისა თუ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების შემაკავებელი ბერკეტების გამო, აღნიშნული

ეკონომიკური მოდელები სრულფასოვნად ვერ შეერწყა გლობალიზმის მულტივარიაციულ პროცესს. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას დემოკრატიულ საზოგადოებებში გაჩენილი ანტი-ლიბერალური განწყობები (სურვილები), გლობალიზაციის პროცესში სახელმწიფო სუვერენიტეტის გადარჩენისა და ტრადიციული ღირებულებების დაცვის მოთხოვნით, ფორმირებულია პოპულისტური მოძრაობებისა და პოლიტიკური პარტიების ქვეტექსტებით. მაგალითად, თანამედროვე საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა მხარს უჭერს „ევროინტეგრაციასა“ და დასავლური ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრებას საქართველოში არა იმიტომ, რომ ლიბერალურმა ღირებულებებმა ქართულ მატერიალურ სამყაროში გაიმარჯვა, არამედ იმიტომ რომ მოსახლეობის უმრავლესობას არ მოსწონს (ან არ ამართლებს) „პუტინის რუსეთი“, მისი აგრესიული და დიქტატორული პოლიტიკისა და ოკუპაციის გამო. ამას მოწმობს ის, რომ როდესაც საქართველოში სახელმწიფო დონეზე განსახილველ საკითხად დღის წესრიგში დგება ლიბერალური დემოკრატიის ისეთი ღირებულებების განმტკიცება, როგორცაა ლგბტქ(ი) უფლებები, ერთსქესიანთა ქორწინება, სეკულარიზმი, მედია-თავისუფლება, ინდივიდის უფლებები თუ სხვა, ეს მუდმივად იწვევს კამათს და პოპულისტური ჯგუფების გააქტიურებას ტრადიციული ღირებულებებისა და კულტურის დაცვის მოთხოვნით.

მეთიუ გუდვინი და როჯერ ითველი იკვლევენ „ეროვნულ პოპულიზმს“, როგორც საზოგადოების დაპირისპირების (ან აჯანყების) მიზეზსა და საფუძველს ლიბერალური დემოკრატიის წინააღმდეგ (National Populism: The Revolt Against Liberal Democracy, 2018). ავტორების აზრით, დასავლური საზოგადოებების მნიშვნელოვანი ნაწილი პოპულისტურ ჯგუფებს იმიტომ უჭერს მხარს, რომ ისინი გლობალიზმისა და ღიაობის შეუქცევადი პროცესების მიმართ ანტაგონისტურად არიან განწყობილები. პოპულისტების მხარდამჭერები ნიჰილისტურად აფასებენ გლობალიზაციის შედეგად მათი ცხოვრების, ეროვნული კულტურისა და ღირებულებების გაუმჯობესების ფაქტორს. მეტიც, გუდვინი ყურადღებას ამახვილებს სოციალურ-კულტურულ და

სოციალურ-პოლიტიკურ ჭრილში „ფარდობითი დეპრივაციის“ ფენომენზე, რომლითაც აიხსნება საზოგადოების შიშისა და დაუცველობის გრძნობა, რაც მათ საკუთარი ცხოვრებისა და შეცვლილი რეალობის მიმართ უჩნდებათ. ავტორის აზრით, პოპულიზმმა, როგორც პოლიტიკურმა სტრატეგიამ საზოგადოებაში „ფარდობითი დეპრივაციის“ ძლიერი რეაქცია გამოიწვია, რაც მათ მომავლის მიმართ უიმედო წარმოდგენებს უქმნის (Eatwell and Goodwin 2018). ამასთანავე, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება დასავლეთსა და მთელ მსოფლიოში პოსტმოდერნიზმის, ულტრალიბერალიზმისა და გლობალიზმის მცდელობებზე ძლიერი კონსერვატიული რეაქცია. დასავლურმა ელიტებმა მეტწილად დაკარგეს კავშირები საკუთარ მოქალაქეებთან, შემდგომ კი ამ რეაქციას პოპულიზმი უწოდეს. სერგეი კარაგანოვი აღნიშნავს, რომ დასავლეთმა კი არ შეაჩერა ეს ტალღა, არამედ წახალისა და სახელმწიფო ნაციონალიზმი აღზევდა (Karaganov 2016).

2020 წელს გამოიცა წიგნი - „The Light that Failed: Why the West is Losing the Fight for Democracy“, რომელიც სოფიის ლიბერალური სტრატეგიების ცენტრის ხელმძღვანელს ივან კრასტევსა და ვალტერ მეიერის სამართლის სკოლის პროფესორს სტივენ ჰოლმს ეკუთვნის. ავტორები ამტკიცებენ, რომ კომუნიზმის დასასრული მხოლოდ ავტოკრატის ეპოქის დასაწყისი აღმოჩნდა, რადგანაც ცალსახად ძლიერი ძალა პოპულისტური ქსენოფობიის ტალღის უკან აღმოსავლეთ ევროპაში დაიწყო. თუმცა მანამდე, პოპულისტური პოლიტიკური კამპანიის თვალსაჩინო ნიმუში იყო 1992 წელს შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის, როს პეროს პროპაგანდა. მოგვიანებით კი, 2016 წელს, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის გამარჯვება, აგრეთვე - გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის დატოვებაზე თანხმობა და ა.შ. პოპულისტური პრიზმით, ტრამპის რევოლუცია დაპირების ირონიულ შესრულებას წარმოადგენდა, რომ კომუნისტური მმართველობიდან გამოსული ერები შეერთებულ შტატებს დაემსგავსებოდნენ. კრასტევი და ჰოლმსი აღნიშნავენ, რომ ტრამპმა პუტინის რუსეთი და ორბანის უნგრეთი შეერთებული შტატების მოდელეზად აქცია. პოპულისტური

პოლიტიკის სტრატეგიის პირობებში, ერთი შეხედვით, ტრამპი ცდილობდა წინა მმართველობის იდეალებისაგან თავი დაეღწია. აშკარაა, რომ მისი მიზანი „ამერიკული ექსკლუზიურობის“ იდეის გაუქმება იყო, ხოლო ტრამპის მიერ წარმოთქმული სიტყვები „ამერიკა კვლავ დიდებული გავხადოთ“ ამერიკული ექსკლუზიურობის აღდგენას უფრო ემსახურებოდა. „ტრამპის ამერიკა“ მიზნად ისახავდა არა ამერიკის, როგორც ჰეგემონის პოზიციის დაცვას მსოფლიოში, არამედ - პირიქით. მისი კომენტარები NATO-ს, WTO ან WHO-ს შესახებ და მუქარა რომ მთლიანად შეეწყვიტა ურთიერთობები ჩინეთთან, პოპულისტური მისწრაფებების, მხოლოდ ზოგიერთი გამოვლინება იყო.

აშშ-ის უნიპოლარულობამ საფუძველი ჩაუყარა ლიბერალურ დემოკრატიას, რათა იგი თანამედროვეობის ყოვლისმომცველი მოდელი გამხდარიყო. შესაბამისად, „ვესტერნიზაციის კოპირება“ იქცა შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ინსტიტუტების ღირებულებებისა და ცხოვრების წესის „მიბაძვად“. თუმცა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისთვის ეს პროცესი უფრო მტკივნეული აღმოჩნდა. ფაქტია, ეს ქვეყნები ისევ ითვისებენ ზესახელმწიფოს იდეებსა და იდენტობას (როგორც ამას საბჭოთა პერიოდში აკეთებდნენ), თუმცა - ნაკლები იძულებით. ამ პროცესებმა კი, თავის მხრივ, პოპულისტურ იდეებსა და სტრატეგიებს ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში დღესდღეობით ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ეს ცივი ომის დროს იყო, ვიქტორ ორბანის მსგავსი ლიდერები ევროკავშირსა და დასავლეთ ევროპას განათლებული მოსახლეობის „გადასახლებაში“ ადანაშაულებენ (Krastev and Holmes 2020). აგრეთვე, იკვეთება უნგრეთის მკაფიო შიში „ისლამიზაციის“ მიმართ, რადგანაც პოპულისტები თვლიან რომ „ემიგრანტებმა შესაძლოა სამუშაოები მოიპარონ“, ეს უკანასკნელი მოსაზრება „ბრექსიტის“ შემდეგ უფრო მეტად აქტუალური გახდა. პოპულისტების აზრით, მიგრაცია ეროვნული მემკვიდრეობისა და ტრადიციების დაკარგვას იწვევს. მეტიც, იკვეთება „მეორის შიშის“ (ან საკუთარი იდენტობის ეროზიის შიში) ფენომენი, რაც მეცნიერულად

ონტოლოგიურ დაუცველობასთან ასოცირდება (Mitzen 2006). ამრიგად, ის ქმედებები, რომლებიც ყოფილი საბჭოთა ქვეყნების პოლიტიკურ სტრატეგიებში თანამედროვე კრიზისის დაძლევის მიზნით გამოიხატება, შესაძლოა „ტრადიციულ იდენტობაში“ დაბრუნების მცდელობადაც ჩაითვალოს.

ამასთანავე, საყურადღებოა იაშა მაუნკის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი წიგნი (The People vs. Democracy: Why Our Freedom Is in Danger and How to Save It, 2018), სადაც ავტორი ასკვნის, რომ ლიბერალური დემოკრატიის ორი ძირითადი კომპონენტი, ინდივიდუალური უფლებები და საზოგადოებრივი ნება ერთმანეთს ებრძვის. ავტორის აზრით, როდესაც შემოსავლების (ფული) როლი პოლიტიკაში გაიზარდა და საჯარო დაპირისპირებიდან მნიშვნელოვანი საკითხები ამოიღეს, ძალაში შევიდა „უფლებათა სისტემა დემოკრატიის გარეშე“ (Rights without Democracy). ხოლო, პოპულისტებს, რომლებიც ამას აპროტესტებენ, ხალხისთვის ძალაუფლების დაბრუნება სურთ, თუმცა ამის საპასუხოდ ისინი „დემოკრატიის უუფლებო სისტემას“ (Democracy without Rights) ქმნიან. ამ თვალსაზრისით მაუნკი გამოკვეთს პოპულიზმის, როგორც პოლიტიკური სტრატეგიის ოთხ ძირითად სივრცეს:

1. ლიბერალური დემოკრატია (მაგ. კანადა);
2. არალიბერალური დემოკრატია (მაგ. პოლონეთი);
3. არადემოკრატიული ლიბერალიზმი (მაგ. ევროპის კავშირი);
4. დიქტატურა (მაგ. რუსეთი).

პოპულისტები ხმამაღლა აცხადებენ, რომ ისინი ხალხის ხმას წარმოადგენენ. მეტიც, თვლიან, რომ მათი მმართველობის წინააღმდეგ ნებისმიერი წინააღმდეგობა უკანონოა, რადგანაც ისინი მოქმედებენ დემოკრატიის ფარგლებში (თუმცა არალიბერალური მეთოდებით). პოპულისტები ცდილობენ, გააჩუმონ ოპოზიცია და „განადგურონ“ მეტოქე, ე.წ. „ძალაუფლების ცენტრები“. შესაბამისად, შეუძლებელია მათი ბუნების გაგება იმ დემოკრატიული ენერჯის აღიარების გარეშე, რომელიც მათ

ამომრავებთ და მოსალოდნელი შეკითხვა, თუ რამდენად სწრაფად შეიძლება შემობრუნდეს ეს ენერჯია ხალხის წინააღმდეგ, ჯერ-ჯერობით პასუხაუცემელი რჩება. თუმცა ფაქტია, იზრდება ამომრჩეველთა უკმაყოფილების ხარისხი, რაც სამი მთავარი მამომრავებელი ფაქტორითაა განპირობებული: ცხოვრების დონის სტაგნაცია (Stagnating Living Standards), მრავალეთნიკური დემოკრატიის შიში (Fear of Multiethnic Democracy) და სოციალური მედიის ზრდა (The Rise of Social Media). შესაბამისად, თუ ლიბერალური დემოკრატიის დამცველები პოპულისტებს ვერ შეაჩერებენ, არალიბერალურ დემოკრატიას ყოველთვის ემუქრება აშკარა დიქტატურაში გადავარდნის საფრთხე (Mounk 2018).

მიუხედავად იმისა, რომ მაუნკი საქართველოს არ განიხილავს, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ლიბერალური დემოკრატია საზოგადოებაში, მხოლოდ იდეის დონეზე არსებობს და ინდივიდის უფლებები და საზოგადოებრივი ნება რადიკალურად განსხვავდება საქართველოს ამომრჩეველებში. ეს კი გამოიხატება შემდეგში: საქართველოში პოლიტიკისადმი ნდობა იკლებს ინდივიდუალურ დონეზე, თუმცა ჯგუფურ შეკრებებზე ნდობა ან კრიტიკა იზრდება, რაც ვერ აღწევს დასახულ მიზანს და პოზიტიურ შედეგს. ფაქტია, საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას უყვარდება თავიანთი პოლიტიკური სისტემა და მცირდება განსხვავებული აზრის (არჩევანის) მიმღებლობა, რაც თავის მხრივ, დემოკრატიის მნიშვნელოვან ნიშნებს აქრობს. ცხოვრების დონის გაუარესებით, მრავალეთნიკური დემოკრატიის შიშითა და სოციალური მედიის როლის ზრდის შედეგად, საქართველოში უკმაყოფილო ამომრჩეველთა რიცხვი გაიზარდა და ამით პოპულისტური ჯგუფები სარგებლობენ, რადგანაც მათ ხალხისთვის ძალაუფლების „დაბრუნება“ სურთ. ეს ტენდენცია ჯერ-ჯერობით უცვლელია საქართველოში, რადგანაც პოლიტიკოსებს (საზოგადოებრივი ნების მოთხოვნითა და გათვალისწინებით) არ გაუტარებიათ რადიკალური რეფორმები, რომლებიც სარგებელს მოუტანდა უმრავლესობას და არა, მხოლოდ რამდენიმეს. რა შეუძლიათ მოქალაქეებს ამ ტენდენციის შესაცვლელად? მაუნკის აზრით, მოქალაქეებს შესწევთ ძალა, გამოვიდნენ ქუჩებში, რათა წინ აღუდგნენ



პოპულისტებსა და მმართველი ხელისუფლების იმგვარ პოლიტიკას, რომელიც არ წარმოაჩენს საზოგადოების ნებას (Representative Democracy). მოქალაქეებმა უნდა შეახსენონ თანამოქალაქეებს, როგორც თავისუფლების ისე თვითმმართველობის ღირებულებები, რაც ცენტრალურად მნიშვნელოვანია საზოგადოების თვითგამორკვევის პროცესში. მოქალაქეებს შეუძლიათ, უბიძგონ დამკვიდრებულ პარტიებს მიიღონ შესბამისი პროგრამა, რომელსაც შესწევს ძალა, განაახლოს ლიბერალური დემოკრატიის დაპირება უკეთესი მომავლის შესახებ ყველასათვის და არა, მხოლოდ რამდენიმესთვის. ამ „გამარჯვების“ შემდეგ მოქალაქეები მოიპოვებენ ღირსებასა და გადაწყვეტილებას, რომ ოპონენტები დემოკრატიულ წრეში დააბრუნონ (Mounk 2018).

პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური სტრატეგია დემოკრატიული მმართველობის მონაპოვარია, რომელიც არალიბერალური დემოკრატიის პირობებში ჩაისახა და განვითარდა. როგორც იკვეთება პოპულიზმი მაშინ ძლიერდება, როდესაც ვლინდება ღრმა და მძაფრი უკმაყოფილება საზოგადოებაში, რაც თავის მხრივ კოლექტიურ „ფსიქოლოგიურ სტრესს“ ავლენს. პოპულისტები ლიბერალიზმის წინააღმდეგ ფართო პოლიტიკურ რეაქციაში შედიან, როგორც მემარჯვენე პოლიტიკის მესვეურები (მაგ.: უნგრეთი, პოლონეთი და სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნები). აუცილებელია, რომ ლიბერალური დემოკრატიის დასავლელმა დამცველებმა, შეიმუშაონ მსოფლიო წესრიგის ალტერნატიული მოდელების უფრო რეალისტური ხედვა და საზოგადოებაში შეინარჩუნონ ლიბერალიზმის გრძელვადიანი ფუნქციონირების იმედი. საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აუცილებელია, დაიწყოს საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლის პროცესი სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მიმართ, რა თქმა უნდა, დოგმებად მიღებული ღირებულებების კრიტიკური გადასინჯვით, რომლებსაც პოპულისტები აქტიურად იყენებენ. შედეგად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს მიეცემათ აწმყოში დაბრუნების შანსი, რათა დაიწყოს განახლების გრძელვადიანი და შეუქცევადი პროცესი და გახდნენ თანამედროვე, დემოკრატიული მსოფლიოს აქტიური წევრები.

## ბიბლიოგრაფია

ფუკუიამა, ფრენსის. 2020. ისტორიის დასასრული. 155-188. *პოლიტიკა და დემოკრატია*. თბილისი: ინტელექტი.

Eatwell, Roger and Matthew Goodwin. 2018. *National Populism: The Revolt Against Liberal Democracy*. London: Pelican Books.

Karaganov, Sergei. 2016. A Victory of Conservative Realism. *Russia in Global Affairs*. <https://eng.globalaffairs.ru/articles/2016-a-victory-of-conservative-realism/> (19.07.2022)

Krastev, Ivan and Stephen Holmes. 2020. *The Light that Failed: Why the West is Losing the Fight for Democracy*. New York: Pegasus Books.

Mitzen, Jennifer. 2006. Ontological Security in World Politics: State Identity and the Security Dilemma. *European Journal of International Relations*. 12, 3 (September): 341–70. <https://doi.org/10.1177/1354066106067346> (19.07.2022).

Mounk, Yascha. 2018. *The People vs. Democracy: Why Our Freedom Is in Danger and How to Save It*. Harvard University Press.